

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №272
2015 წლის 19 აგვისტო

ქ. თბილისი

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში (სსმ, №172, 31.12.2010 წ., სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“;

ბ) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-8 ნაწილის, 238-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 252-ე მუხლის პირველი ნაწილის, 253-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 256-ე მუხლის მე-6 ნაწილის, 257¹ მუხლის მე-3 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 269-ე მუხლის მე-9 ნაწილის, 271-ე მუხლის პირველი და მე-10 ნაწილების, 286-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, ვბრძანებ.“;

გ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესი“ თანდართული რედაქციით.“.

2. ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის“:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესი“;

ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესით განისაზღვრება საგადასახადო ორგანოების მიერ კონტროლის განხორციელების (მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის, ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების და სამართალდარღვევების საქმის წარმოების) პროცედურები.“;

გ) 9¹ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) 9² მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) დანართი №2¹ ამოღებულ იქნეს;

ვ) IV¹ თავი ამოღებულ იქნეს;

ზ) 55¹ მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის წესი“;

თ) 55¹ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების, ხოლო საგადასახადო ორგანოს მიერ მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები, გარდა აღსრულების საფასურის და აღსრულების ხარჯისა, ირიცხება შემოსავლების სამსახურის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე, საიდანაც ხდება მათი ჩარიცხვა ბიუჯეტის შემოსულობათა შესაბამის სახაზინო კოდებზე გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის მიზნით.“;

ი) 55² მუხლის მე-3 – მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქონების პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შემდგომ საგადასახადო ორგანო ახორციელებს გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების ამ წესის 55¹ მუხლით განსაზღვრული რიგითობით ჩამოწერას ქონების საბაზრო ღირებულების ოდენობით, შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღით ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

4. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების ნატურით სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო ახორციელებს გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების ამ წესის 55¹ მუხლით განსაზღვრული რიგითობით ჩამოწერას ამ ქონების საბაზრო ღირებულების ნახევრით, ნატურით სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღით.

5. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის

11² პუნქტის შესაბამისად, ქონების ნატურით სახელმწიფოს, როგორც კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო ახორციელებს გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ წესის 55¹ მუხლით განსაზღვრული რიგითობით ჩამოწერას ამ ქონების საბაზრო ღირებულების ოდენობით, ქონების ნატურით სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღით.“;

კ) XV თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევენების გადავადება“;

ლ) 61-ე მუხლის:

ლ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 61. აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევენების გადავადების პროცედურა“

ლ.ბ) პირველი და 1¹ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევენება შეიძლება გადავადდეს არაუმეტეს 3 წლით, თუ გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევენების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თავდებობის ხელშეკრულება, წარდგენილია საბანკო გარანტია ან დაზღვევის პოლისი, ან/და თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთულია პირის ქონება, რომლის ღირებულება უზრუნველყოფს აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევენებას.“

1¹. საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენის გარეშე, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევენება შეიძლება გადავადდეს არაუმეტეს 1 წლით, თუ საგადასახადო დავალიანების თანხა არ აღემატება 5000 ლარს.“;

ლ.გ) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პირი აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევენების გადავადების მიზნით წარადგენს განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) პირის დასახელებას/სახელს და გვარს, საიდენტიფიკაციო/პირად ნომერს;

ბ) აღიარებული საგადასახადო დავალიანების თანხის ოდენობას;

გ) აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევენების გადავადების პერიოდს.

3. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდის პირობითი გრაფიკი დასარიცხი საურავის თანხის ჩათვლით მის სრულ გადახდამდე;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევენების გადავადების მოთხოვნის შემთხვევაში საბანკო გარანტია ან დაზღვევის პოლისი ან ექსპერტის/აუდიტორის დასკვნა საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ, ხოლო, თავდებობის გამოყენების შემთხვევაში ამ წესის №29¹ დანართის შესაბამისი განცხადება, რომელსაც უნდა ერთოდეს ამავე წესის 65² მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დოკუმენტი.“;

მ) 62-ე და 63-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 62. გადაწყვეტილება აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევენების შესახებ

1. საგადასახადო ორგანო განიხილავს პირის მიერ აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევენების გადავადების მიზნით წარდგენილ განცხადებას, განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტაციას და ადგენს მის შესაბამისობას ამ თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

2. თუ განცხადება პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს, საგადასახადო ორგანოს უფროსი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღიარებული საგადასახადო დავალიანების



გადახდევინების გადავადების შესახებ, რომელიც ფორმდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ასეთ შემთხვევაში, უქმდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები, გარდა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებისა თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების საფუძველად გამოყენებულია საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონება. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება არ უქმდება აგრეთვე, ამ წესის 61-ე მუხლის 1¹ პუნქტის შესაბამისად აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შემთხვევაში.

3. საგადასახადო ორგანოს უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ, ეგზავნება გადასახადის გადამხდელს.

მუხლი 63. ხელშეკრულება აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ

1. აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდის პირობები, ვადები და გადახდის გრაფიკი, აგრეთვე აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

2. აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულების ტიპური ფორმა განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“;

ნ) 64-ე მუხლის:

ნ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება“

ნ.ბ) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გადაწყვეტილება აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ უქმდება, თუ:

ა) პირმა დაარღვია აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულებით ან/და მისი დანართით (გრაფიკით) გათვალისწინებული პირობები;

ბ) პირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე სრულად გადაიხდის აღიარებული საგადასახადო დავალიანების თანხებს და შესაბამის საურავს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობა არის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი.“;

ნ.გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანება გადავადებულია ამ წესის 61-ე მუხლის

1¹. პუნქტის შესაბამისად და ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული საფუძველით გაუქმდა გადაწყვეტილება აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.“;

ო) 65¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„1. აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების, ასევე, საგადასახადო დავის პერიოდში პირის საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად, ამ წესის 65² მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, თავდებობის ხელშეკრულების გაფორმების მიზანშეწონილობას, განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო.

2. თავდებობის ხელშეკრულებით თავდები სოლიდარულად კისრულობს ვალდებულებას სრული მოცულობით დაფაროს გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანება.“;

პ) 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უფლებრივად უნაკლო ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი მარეგისტრირებელი ორგანოდან, ასევე ექსპერტის/აუდიტორის დასკვნა ამ ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ, რომელიც ტოლია ან აღემატება გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების/საგადასახადო დავალიანების თანხას ან/და;

ბ) საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა შემოსავლების სამსახურის სადეპოზიტო ანგარიშზე თავდებობის თანხის შეტანის შესახებ, რომლის ოდენობა უნდა იყოს ტოლი ან აღემატებოდეს გადასახადის გადამხდელის აღიარებულ საგადასახადო დავალიანებას/საგადასახადო დავალიანებას ან/და;“;

ჟ) დანართი №29¹ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

რ) 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი

რედაქციით:

„ბ) პირის გარდაცვალებისას მემკვიდრის არარსებობის ან მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში ან თუ გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების მოცულობა აღემატება მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულებას;

ბ.ა) საგადასახადო დავალიანების შესახებ;

ბ.ბ) პირის გარდაცვალების შესახებ;

ბ.გ) გარდაცვლილი პირის მემკვიდრის არსებობისას, სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ;

ბ.დ) გარდაცვლილი პირის მემკვიდრის არსებობისას, საგადასახადო ორგანოს შეტყობინება გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების თაობაზე;

ბ.ე) გარდაცვლილი პირის მემკვიდრის (მემკვიდრეების) არარსებობის ან მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ.ვ) საგადასახადო ორგანოს ან/და აუდიტორის დასკვნა გარდაცვლილი პირის ქონების ღირებულების შესახებ.

გ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად პირის აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად პირის ცნობის შემთხვევაში:

გ.ა) საგადასახადო დავალიანების შესახებ;

გ.ბ) უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან მხარდაჭერის მიმღებად პირის ცნობის დადასტურების შესახებ;

გ.გ) მეურვეობის, მზრუნველობის ან მხარდამჭერად ცნობის უფლებამოსილების დადასტურების შესახებ;

გ.დ) საგადასახადო ორგანოს შეტყობინება უგზო-უკვლოდ დაკარგული ან მხარდაჭერის მიმღები პირის საგადასახადო დავალიანების დაფარვის შესახებ;



გ.ე) საგადასახადო ორგანოს ან/და აუდიტის დასკვნა უგზო-უკვლოდ დაკარგული ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირის ქონების ღირებულების შესახებ.“;

ს) 67-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო დავალიანება ჩამოიწერება იმ თანხის ოდენობით, რომელიც აღემატება გარდაცვლილი, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირის ქონების ღირებულებას, ხოლო მემკვიდრის არარსებობის ან მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აგრეთვე 66-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში საგადასახადო დავალიანება ჩამოიწერება სრული მოცულობით.“;

ტ) 68-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების მიღების დღიდან აღდგება ჩამოწერილი საგადასახადო დავალიანება.“;

უ) 69-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საგადასახადო სამართალდარღვევის საქმისწარმოების დაწყების საფუძველია საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენა, რაც ფიქსირდება №30 დანართის შესაბამისი ოქმით ან საგადასახადო შემოწმების აქტით.“;

ფ) დანართი №30¹ ამოღებულ იქნეს;

ქ) 70-ე მუხლის:

ქ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი, ასევე აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამისი უფლებამოსილი პირი.“;

ქ.ბ) მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილი პირის (პირების) თანამდებობა, სახელი, გვარი და პირადი ნომერი;“;

ღ) 72-ე მუხლის:

ღ.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დოკუმენტების გარეშე საქონლის ტრანსპორტირების/შემენის ფაქტის გამოვლენის მიზნით, პირის და სატრანსპორტო საშუალების გაჩერებას, სატრანსპორტო საშუალების ვიზუალურ დათვალიერებას, საქონლის დათვლას თანმხლებ საბუთებთან შესაბამისობის დასადგენად, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანმხლები საბუთების, ასევე პირადობის დამადასტურებელი საბუთების შემოწმებას და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული პროცედურების დასაფიქსირებლად ტექნიკური საშუალებების გამოყენებას ახორციელებს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი. ამასთან, შესაბამისი პირისა და სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება აქვს, გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.“;

ღ.ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2¹. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისა, ამავე პუნქტით გათვალისწინებული ფაქტის გამოვლენის მიზნით, პირის და სატრანსპორტო საშუალების გაჩერებას, სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებას, საქონლის ტრანსპორტირებისათვის საჭირო დოკუმენტების შემოწმებას, ასევე მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთების შემოწმებას



ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილი პირი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებლი

გიორგი თაბუაშვილი

